საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5491/01
02/06/2021

5491-01-2-202106021616

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ **ეკა ურუშაძეს**

ქალბატონო ეკა,

მიმდინარე წლის 19 მაისის თქვენი N3-729 წერილის პასუხად, გიგზავნით საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხას, რომლებთანაც დაახლოება ქართული მხარის მიერ ჩაითვალა არალევანტურად და შესაბამისად, არ განხორციელდა მათთან საკანონმდებლო დაახლოება, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის შესაბამის გადაწყვეტილებებთან ერთად.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართში არსებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტები, რომელიც არასავალდებულოდ იქნა ცნობილი

2017 წელი

- 2012 წლის 8 ივნისის ევროკომისიის (EU) No 489/2012 განმახორციელებელი რეგულაცია, ადგენს განმახორციელებელ წესებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1925/2006 რეგულაციის სურსათში ვიტამინების, მინერალებისა და გარკვეული სხვა ნივთიერებების დამატების შესახებ მე-16 მუხლის გამოყენების მიზნით.

  არარელევანტური

  ევროკომისიასთან შეთანხმების შედეგად დადასტურდა, რომ წინამდებარე რეგულაცია არ არის რელევანტური საქართველოსთვის, რადგან ადგენს შიდა პროცედურებს ევროკომისიასა და ევროკავშირის სხვა ორგანოებს შორის სამართლებრივი ურთიერთობისთვის და შესაბამისად მასთან არ განხორციელდა საკანონმდებლო დაახლოება.

- 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1331/2008 რეგულაცია, ადგენს საკვებდანამატების, საკვები ფერმენტებისა და არომატიზატორებისათვის საერთო ავტორიზაციის პროცედურებს.

  არარელევანტური

  No 1331/2008 რეგულაცია ადგენს პროცედურებს თუ როგორ უნდა განხორციელდეს ახალი საკვებდანამატების ავტორიზაცია და მათი დამატება შესაბამის დანართში.

  No 1331/2008 რეგულაცია განსაზღვრავს No 1333/2008; No 1332/2008 და No 1334/2008 რეგულაციებში მოცემული ნივთიერებების ჩამონათვალის განახლების საერთო პროცედურებს.

  აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების შესაბამისად საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში No 1332/2008 რეგულაციასთან დაახლოება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს №482 დადგენილებით „საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“. No 1333/2008 რეგულაციასთან დაახლოება განხორციელდა „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილებით, ხოლო No 1334/2008 რეგულაციასთან დაახლოება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს №497

დადგენილება "ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ".

შესაბამისად, საქართველო შეიტანს შესაბამის ცვლილებებს დადგენილებებში №482, №585 და №497, მას შემდეგ რაც ევროკავშირი შეცვლის შესაბამისი რეგულაციის დანართს.

<u>2018 წელი</u>

- 2011 წლის 10 მარტის ევროკომისიის (EU) No 234/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1331/2008 რეგულაცია, რომელიც ადგენს საკვებდანამატების, საკვები ფერმენტებისა და არომატიზატორებისათვის საერთო საავტორიზაციო პროცედურებს.

  არარელევანტური

  ევროკომისიის (EU) No 234/2011 რეგულაცია განსაზღვრავს No 1331/2008 რეგულაციის 3 (1) მუხლის შესაბამისად ავტორიზაციის სართო პროცედურებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ No 1331/2008 რეგულაცია განსაზღვრავს No 1333/2008; No 1332/2008 და No 1334/2008 რეგულაციებში მოცემული ნივთიერებების ჩამონათვალის განახლების საერთო პროცედურებს, შესაბამისად ქართული მხარე არ მოახდენს ავტორიზაციის საერთო პროცედურების დანერგვას, არამედ No 1333/2008; No 1332/2008 და No 1334/2008 რეგულაციებში არსებულ დანართებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაბამისად განაახლებს №482, №585 ან/და №497 დადგენელილებებს.

- 2010 წლის 25 მარტის ევროკომისიის (EU) No 257/2010 რეგულაცია, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1333/2008 რეგულაცის შესაბამისად ადგენს დამტკიცებული საკვებდანამატების ხელმეორედ შეფასების პროგრამას.

  არარელევანტური

  No 257/2010 რეგულაცია განსაზღვრავს 1333/2008 რეგულაცის 32-ე მუხლის შესაბამსიად ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს (EFSA) მიერ საკვებდანამატების ხელმეორედ შეფასების პროგრამას. შესაბამისად აღნიშნული პროგრამა არ არის განკუთვნილი ქართული მხარისთვის.

- 2011 წლის 14 ივლისის ევროკომისიის (EU) No 1152/2011 დელეგირებული რეგულაცია ძაღლებში ექინოკოკოზის (echinococcus multilocularis) ინფექციის

კონტროლის მიზნით პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები შესახებ, რომელიც ავსებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 998/2003 რეგულაციას.

არარელევანტური

წინამდებარე რეგულაცია ეხება ევროკავშირის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც შესაბამის დანართშია ასახული (ფინეთი, ბრიტანეთი ირლანდია და მალტა) არაკომერციული მიზნით ძაღლების შეყვანის საკითხებს და არ არის რელევანტური საქართველოსთვის.

- 1995 წლის 7 ივლისის ევროკომისიის (EC) No 1662/95 რეგულაცია ადგენს ადამიანური ან ვეტერინარული მოხმარებისათვის გამიზნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების ავტორიზაციის მიმართ ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ზოგიერთ დეტალურ წესს.

არარელევანტური

წინამდებარე რეგულაცია არ არის რელევანტური საქართველოსთვის, რადგან ეხება ევროკომისიის სხვადასხვა სტრუქტურებს შორის ურთიერთობის საკითხებს.

<u>2019 წელი</u>

- 2007 წლის 11 დეკემბრის ევროკომისიის 2007/843/EC გადაწყვეტილება, ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 2160/2003 რეგულაციის თანახმად, ბანკივური ქათმების (Gallus gallus) მოსაშენებელ გუნდებში სალმონელას კონტროლის პროგრამების დამტკიცების შესახებ და ცვლილება შეაქვს 2006/696/EC გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება ქათმებისა და გამოსაჩეკი კვერცხების იმპორტირებისათვის დადგენილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს.

არარელევანტური

2007/843/EC გადაწყვეტილება არ არის რელევანტური საქართველოსთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება No 2160/2003 რეგულაციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კანადის, ისრაელის და ა.შ.შ.-ს მიერ ბანკივური ქათმების (Gallus gallus) მოსაშენებელ გუნდებში სალმონელას კონტროლის პროგრამების დამტკიცებას და შესაბამსიად არ არის სავალდებულო ქართული მხარის მიერ შესასრულებლად.

რაც შეეხება 2006/696/EC გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელებას, აღნიშნულიც არარელევანტურია, რადგან 2006/696/EC გადაწყვეტილებასთან

დაახლოება არ არის სავალდებულო ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად.

- 2012 წლის 5 დეკემბრის კომისიის 2012/756/EU დამნერგავი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კივის ბაქტერიული კიბოს Pseudomonas syringae pv. actinidiae Takikawa, Serizawa, Ichikawa, Tsuyumu & Goto-ს გაერთიანებაში შემოტანის და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

  გაუქმებულია: გადაწყვეტილების მე-6 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილება ძალაში იყო 2016 წლის 31 მარტამდე.

<u>2020 წელი</u>

- 2005 წლის 21 ივნისის ევროკომისიის 2005/463/EC გადაწყვეტილება, აყალიბებს ქსელურ ჯგუფს გენ-მოდიფიცირებული, ტრადიციული და ორგანული მოსავლის თანაარსებობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინირების მიზნით.

არარელევანტური

აღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნები საქართველოსთვის არარელევანტურია, რამდენადაც მასში მოცემულია გენ-მოდიფიცირებული, ტრადიციული და ორგანული მოსავლის თანაარსებობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინირების საკითხები.

2014 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომლის თანახმად, საქართველო გამოცხადდა „თავისუფალ ზონად“, და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში ინტროდუქცია. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- 2009 წლის 13 ოქტომბრის ევროკომისიის 2009/770/EC გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს სტანდარტული ანგარიშგების ფორმატებს გენ-მოდიფიცირებული ორგანიზმების ან მათი შემცველი პროდუქტების, ბაზარზე განთავსების მიზნით, გარემოში განზრახ გაშვებაზე მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის მიზნით, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/18/EC დირექტივის შესაბამისად.

არარელევანტური

აღნიშნული გადაწყვეტილება არარელევანტური იმავე საფუძვლით რაც მოცემულია ევროკომისიის 2005/463/EC გადაწყვეტილებასთან მიმართებაში.

- 2002 წლის 16 დეკემბრის საბჭოს 2003/17/EC გადაწყვეტილება მესამე ქვეყნებში სათესლე კულტურებზე განხორციელებული საველე შემოწმებების ექვივალენტურობის და მესამე ქვეყნებში წარმოებული თესლის ექვივალენტურობის თაობაზე.

  არარელევანტური

  აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება კონკრეტულ მესამე ქვეყნებს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს იქ საველე ინსპექტირება ევროკომისიის მიერ გარკვეული სახის თესლსა და სარგავ მასალაზე. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაცია ჩვენი ქვეყნისთვის არ არის სავალდებულო.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილებები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულებზე:

https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2019/november/tradoc_158423.pdf

https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2020/september/tradoc_158934.pdf

https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2021/march/tradoc_159455.pdf

#3-729

19 მაისი 2021

საქართველოს გარეოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

თემა: ასოცირების ჩამონათვალიდან ამოღებული ევროკავშირის აქტები

გთხოვთ მოგვაწოდოთ იმ ევროპული აქტების სრული ჩამონათვალი, რომელიც შესულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების XI-B დანართში (იგულისხმება საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2017 წლის 7 მარტის №1/2017 გადაწყვეტილებით დამტკიცებული XI-B დანართის ტექსტი), თუმცა შემდგომში ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტმა ისინი საქართველოსთვის არარელევანტურად ცნო და ამიტომ მათთან დაახლოება არ განხორციელებულა ან/და არ იგეგმება.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად, აგრეთვე მოგვაწოდოთ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება asocireba.ge ვებ-გვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge